საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კანდელაკი დავით ვლადიმერის ძე

კანდელაკი დავით ვლადიმერის ძე (1895, ყოფ. სოფ. კულაში, ქუთაისის მაზრა, ახლანდ. დაბა კულაში, სამტრედიის მუნიციპალიტეტი, – 29. VII. 1938, მოსკოვი), ეკონომისტი, დიპლომატი და მეცნიერი. სპი-ის პირველი დირექტორი (1928–30). საუნივერსიტეტო განათლება მიიღო გერმანიაში. 1921 საქართველოში დაინიშნა განათლების სახალხო კომისრად. 1928 სათავეში ჩაუდგა სპი-ს. ხელმძღვანელობდა ახ. კადრების ჩამოყალიბებას, პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას; უშუალოდ მის - სახელთანაა დაკავშირებული სახელმწ. სამეცნ. საბჭოს პედ. სექციების შემოქმედებითი მუშაობა, ქართ. ენაზე საშ. და უმაღლესი სასწავლებლებისათვის სახელმძღვანელოების შექმნა და სხვ. 1930 კ. სამუშაოდ მოსკოვში გადაიყვანეს – იყო სსრკ-ის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილე. 1934 მიავლინეს შვედეთში სსრკ-ის სავაჭრო წარმომადგენლად, 1935–37 – გერმანიაში იმავე თანამდებობაზე. ასრულებდა ი. სტალინის პირად დავალებებს გერმანიის მთავრობის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებებში სსრკ-ისთვის სამხედრო და სტრატეგიული მასალების მიწოდების თაობაზე (ზოგჯერ მოიხსენიებენ როგორც "კანდელაკის მისიას"). 1937 დაბრუნდა მოსკოვში. იმავე წელს დააჯილდოვეს ლენინის ორდენით. ემსხვერპლა პოლიტ. რეპრესიებს.

ლიტ.: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (1922–2012), თბ., 2012; А б р а м о в Н. А., Особая миссия Давида Канделаки, «Вопросы истории», 1991, №4–5.

ი. ლომიძე